



მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 თებერვალი, 2016 წელი

დრო: 17:00-18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ცენტრალური ოფისი (ვაჟა ფშაველას 43/1)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
3. ანა გახოკიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. მარიკა ალუღიშვილი - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

განსახილველი საკითხები:

1. სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის განხილვა;
2. მე-5 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატების შერჩევა;
3. სხვა საკითხები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა, ბატონმა ლაშა ბლიაძემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა სამოქმედო გეგმა. როგორც ბატონმა ლაშამ აღნიშნა სამოქმედო გეგმის მიხედვით ჯგუფის პრიორიტეტებია: სოციალური დიალოგის, საწარმოო ურთიერთობებისა და შრომის ბაზრის ინსტიტუციონალური განვითარების საკითხები, შრომის კანონმდებლობის იმპლემენტაციის მონიტორინგი, ქმედითუნარიანი შრომის ინსპექციის შექმნა, უსაფრთხო და ღირსეული შრომის პრინციპების ხელშეწყობა, შრომითი დავების დარეგულირების პროცესების მხარდაჭერა, ევროკავშირის ფუნდამენტალური უფლებების ქარტიით, ევროპის სოციალური ქარტიითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გავრცელება, აღნიშნული მიმართულებებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, პროფესიული განათლების განვითარება და თემატური ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება. ჯგუფისთვის ასევე პრიორიტეტულად რჩება ახალი წევრების მიღების საკითხი.

ახალგაზრდული ალტერნატივის წარმომადგენელმა, ნუკრი ყველაშვილმა ჯგუფის წევრებს შესთავაზა მთავრობას წარუდგინონ წინადადება უმუშევრობასთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიის შემუშავების შესახებ და აღნიშნული ინიციატივა აისახოს სამოქმედო გეგმის დღის წესრიგში. ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა, ჯგუფის წევრებს ასევე შეახსენა მთავრობის მიერ შემორანდუმით აღებული ვალდებულებები, რომ მოისმინონ პლატფორმის წევრების მიერ ინიცირებული საკითხები და განიხილონ მათი წინადადებები, ამდენად მან შესთავაზა ჯგუფს გამოიყენონ აღნიშნული შესაძლებლობა.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე ჯგუფმა განიხილა მე-5 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატების შერჩევის საკითხი და მიიღეს გადაწყვეტილება, უკვე მოქმედ კოორდინატორ ბატონ ირაკლი პეტრიაშვილთან ერთად, საერთო კრებაზე დასახელდეს სხვა კანდიდატებიც.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.